ხელშეკრულება №011210/10/019
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **20 თებერვალი 2019წელი**

ერთის მხრივ ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გურიელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „კამარა“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მირიან მაღრაძეს სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკის“ მიერ **საბიუჯეტო** სახსრებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ჭიშკრების მონტაჟის (45421148) შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტი მოცემულია დანართში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. მომსახურების მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი ხარისხი პასუხობს კონკრეტული შესყიდვის ობიექტისათვის დადგენილ ნორმებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად, 20.02.2019-05.04.2019წ.

5.2 მომსახურების გაწვის ადგილი: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (თბილისის ზღვაზე ახალი ზოოპარკი, საკად. კოდი №81.21.04.669).

5.3 მომსახურების გაწევის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს მომსახურების მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

- საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან, ჩატარებულ სამუშაოეზე და მიწოდებულ პროდუქციაზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 6 (ექვსი) თვიანი საგარანტიო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 20.02.2019-31.08.2019წ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიღებული მომსახურების მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამეურნეო მენეჯერი გია გიორგაძე და ავტოპარკის უფროსი ვლადიმერ გუგუშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით. დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი
ა(ა)იპ »თბილისის ზოოლოგიური პარკი»
ქ. თბილისი, კოსტავას 64
საიდ კოდი 404902414

NNLE
Tbilisi Zoo
Digitally signed by
NNLE Tbilisi Zoo
Date: 2019.02.20
13:28:08 +04'00'

ზურაბ გურიელიძე
დირექტორი

მიმწოდებელი
შპს «კამარა»
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას №5
სს „საქართველოს ბანკი"
კოდი BAGAGE22
GE71BG 0000 0004 9425 7600
საიდ.კოდი 404419973

მირიან მაღრაძე
დირექტორი

ხელშეკრულება №011210/10/019-ის დანართი

#	კოდი	დასახელება	რაოდ ენობა	განზ.	ფასი	სულ
1	45421148	თბილისის ზღვაზე ახალი ზოოპარკში არსებული ჭიშკრის კარების მოწყობა-გამაგრების სამუშაოები	4	ცალი	1225.00	4900.00
		ჯამი				**4900.00**

შემსყიდველი
ა(ა)იპ »თბილისის ზოოლოგიური პარკი»
ქ. თბილისი, კოსტავას 64
საიდ კოდი 404902414

NNLE Tbilisi Zoo
Digitally signed by NNLE Tbilisi Zoo
Date: 2019.02.20 13:28:29 +04'00'

ზურაბ გურიელიძე
დირექტორი

მიმწოდებელი
შპს «კამარა»
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას №5
სს „საქართველოს ბანკი"
კოდი BAGAGE22
GE71BG 0000 0004 9425 7600
საიდ.კოდი 404419973

მირიან მაღრაძე
დირექტორი